ყოველ-კვირეული სამეურნეო საპოლიტიკო-სალიტერატურო გაზეთი

სასოფლო გაზეთი

№ 22 1920 წ. ორშაბათი, გიორგობისთვის 15-ს, წელიწადი პირველი № 2^2

ფასი 10 მან.

გაზეთს აქვს შემდეგი განყოფილებანი:

საშინაო და საგარეო პოლიტიკა, მებაღეობა და მევენახეობა, მესაქონლეობა, ვაჭრობა-მრეწველობა, კოოპერაცია, სახალხო განათლება, სახალხო მკურნალობა. სასოფლო ცხოვრება, სიტყვა კაზმული მწერლობა და სხვა.

,,სასოფლო გაზეთში''

მონაწილეობას იღებენ მცოდნე სპეციალისტები, ცნობილი მწერლები და გამოცდილი მეურნენი. რედაქცია თავის მკითხველებს მიაწვდის რჩევას და დარიგებას იურიდიულ სამკურნალო და სამეურნეო საკითხებში. —— გაზეთის ფასი თვიურად 40 მან. თითო № 10 მან. —— კონტორა ღიაა ყოველ დღე დილის 9—2 საათამდე, მისამართი რუსთაველის პროსპ. № 11, გაზეთ. ,,საქართველო''ს ბინაზე.

მთავრობის კრიზისი

საქართველოს პროვინციის წარმოდგენით მსოფლიო ხარის რქაზეა დამყარებული და წალმა თუ უკუღმა კაცობრიობის ცხოვრების წარმართვაც, ამ ცხოველის კეთილი ხასიათის საქმეა.

ჩვენი ხალხის ეს შეხედულება ქვეყნის აგებულებაზე მეცნიერულად თუ სწორი არ არის, იმ უეჭვო სინამდვილეს მაინც ვერავინ ვერ უარჰყოფს, რომ ზოგიერთი ისტორიული მოვლენები წინასწარ სრულებით გამოუცნობელია, სწორედ ისე როგორც ხარის რქის მოძრაობის მიმართულება.

და ვინ იტყვის, რომ საქართველოს რესპუბლიკის სათავეში მენშევიკური პარტიის ხელმწიფობაც ბრმა შემთხვევის ნაყოფი არ იყოს. თვით ქართველ სოციალ დემოკრატებს არა ერთხელ უთქვამთ, რომ მთავრობის სავარძლები მათთვის სრულებით მოულოდნელი საჩუქარი იყო, მაგრამ ძვირფასი ტყავის სამინისტრო პორტფელებმა, სასახლის წითელმა თუ ყვითელმა ნაირ-ნაირი ფარჩეულობით მორთულმა დარბაზებმა და უზენაესი ძალა-უფლების სიყვარულმა ეს ხალხი მთელი სამი წლის განმავლობაში მდგომარეობის ბატონ-პატრონად გახადა.

ცნობილია, რომ ბავშვები იმ დღიდან იწყებენ ქვეყნის გაჩენის ისტორიას, როდესაც თავის ქალაში ტვინი გაუმაგრდებათ, და ჩვენმა მენშევიკებმაც საქართველოს რესპუბლიკის ისტორიაც თავიანთი დაბადების დღიდან დაიწყეს; ქართველი ერი გამოცხადებულ იქმნა, უისტორიო ერად, დაუწერელ დაფად, სადაც ყველა გზად გამვლელ მენშევიკ პროპაგანდისტს შეეძლო თავისი უნიჭო და გულბრყვილო შენიშვნების შეტანა.

მაგრამ ქვეყანას განაგებენ არა მარტო თანამედროვე ადამიანები და თანამედროვე შემთხვევები, არამედ ათიათასი საუკუნოვანი საფლავები და ამდენივე ხნის განმავლობაში შექმნილი მოვლენათა ჯაჭვის რგოლები, რომელთა სიღრმეში ერაძე ხომერიკები უცნობი სახეები ან სულ არ სჩანან, ან ისე იჩრდილებიან, როგორც მზის სინათლეში ვარსკვლავები.

მიუხედავად წარსულის უარყოფისა, მიუხედავად არსებულ ბუნებრივი წესწყობილების წინააღმდეგ ბრძოლისა, საქართველომ მენშევიკების ხელმწიფობის ხანაში მოიპოვა ერთი თავისი უუმაღლესი ღირსება.

ესაა საქართველოს დამოუკიდებლობა, რომელიც განხორციელდა მენშევიკური პოლიტიკისა და სურვილების გარეშე.

აქ იწყება და აქ თავდება სოციალ-დემოკრატიული პარტიის გავლენა საქართველოში.

ამის შემდეგ თავს იჩენს განუწყვეტელი კრიზისები როგორც მენშევიკური პარტიის, ისე მენშევიკური მთავრობის.

რესპუბლიკას ძვირად დაუჯდა თავის მთავრობის ეს შეუწყვეტელი მოგზაურობა რადგანაც თითოეულ მათგანს წინ უძღოდა ხალხის ოფლითა და ენერგიით შეძენილი ძალა-უფლების დაბრუნება.

დღესაც იგივე მეორდება.

ჟორდანიას მთავრობაში კარგა ხანია ჩაისახა განუკურნელი კრიზისი და ბათომელ ჟურნალისტებთან რამიშვილმაც განაცხადა რომ ზოგი მინისტრი უკვე თან გადაყვა ამ კრიზისა და წავიდა ზოგი კიდევ წასასვლელად არის განმზადებული.

ჩვენ არ ვიცით პიროვნულად ვინ და ვინ გადიან მთავრობიდან, მაგრამ პიროვნებების შეცვლა-გადახალისება, რომ საქმეს ვერ უშველის ეს აშკარაა.

ჟორდანიას მთავრობის კრიზისი, ქართული მენშევიზმის კრიზისი; აქ არის ჩვენი რესპუბლიკის ბედის თუ უბედობის საიდუმლოება ჩამარხული და სანამ მენშევიკური ორგანიზაციების ძალა და გავლენა არ მოშორდება ქვეყანას, მანამდის ჩვენი განუკურნელი თანამგზავრი იქნება ერაძის ტალახიანი პური, ხომერიკის აგრარული ანარქია და კანდელაკის უფასო ბონები.

ჟორდანიას მთავრობის კრიზისი სწორედ იმით განსხვავდება, წინანდელი ჩვენი მთავრობების კრიზისიდან, რომ იგი გამოწვეული არის შინაური პოლიტიკის აშკარა უვარგისობით; სანამ ქიამილ ფაშის ლაშქარი მოადგებოდა საქართველოს საზღვრებსა და სანამ ყარსის და გუმბრის სიმაგრე დაეცემოდა, ჩვენს რესპუბლიკაში ზოგიერთი სამინისტროების პოლიტიკა უკვე საკმაოდ დაცემული და დაგმობილი იყო.

ყოველივე ეს, დღეს დაუკავშირდა საგარეო საფრთხესა და მენშევიკებმაც იმ დროს დაიწყეს მთავრობის ცვლილების შესახებ ლაპარაკი, როდესაც იციან, რომ საქართველოში არც ერთი ოპოზიციონური პარტია ასეთს მომენტში მთავრობის კრიზისს ბოროტად არ გამოიყენებს და მთავრობის წინააღმდეგ მართებული ბრძოლით ანარქიას არ გამოიწვევს.

მაგრამ ყოველივე იმას, რასაც შემთხვევითი დასაწყისი აქვს, შემთხვევითივე დასასრული ან დაყვება და საქართველოშიც დღეს თუ ხვალ უნდა გადადგეს არა ჟორდანიას მთავრობა, არამედ მენშევიკური პარტიის მთავრობა.

საბედისწერო ხარის რქა ისევ ცარიელ სივრცეში გვაქანავებს ჩვენ და გამოცდილი ღამის მეხრეა საჭირო რომ ნაპრალში არ გადაგვჩეხოს.

საზღვრები უნდა გამაგრდეს.

სომხეთმა ვერ გაუძლო ქემალ ფაშის იერიშებს და თავის სამშობლოს ბურჯი სიმაგრე ზედი ზედ ჩააბარა. ეტყობოდა არ იყო სამშობლოს დიდებისათვის ალფრთოვანება, თავის განწირვა მშობელ მხარისთვის. გათამამებული ქემალ ფაშის ჯარი უეჭველია არ შესდგება სომხეთში და განიზრახავს წინ სვლას ალბათ იმ იმედით, რომ წინ კვლავ ისეთივე მოწინააღმდეგე დახვდება როგორც სომხეთის მიწა წყალზე. ამ წინსვლის ჟამს უეჭველია ჩვენს საზღვრებს მოადგება და ალბათ იქამდე გაკადნიერდება, რომ მოინდომებს მის გადმოლახვას.

პირველივე ხელის ფათურზე უნდა იგრძნოს, რომ საქართველოს საზღვრებს იცავს რკინის ნების ყოფის ადამიანი ფოლადი გულით, მაგრამ სამშობლოს სიყვარულის ცეცხლით აღზნებული და აღფრთოვანებული.

დღეს საქართველოში ხმა გავარდა: იჩქარეთ, იარაღი აისხით კვალად სამშობლოს სიყვარულისთვის, მისი საზღვრების გასამაგრებლადო.

წინად ყოველთვის ამ ხმაზე ყველა ქართველ ვაჟკაცს გული აუთამაშდებოდა, ვინაიდგან ჰგრძნობდა დადგება ჟამი როდესაც სამშობლოსათვის, მის დიდებისათვის სისხლს დაღვრიდა და მტერს ერთხელ კიდევ აჩვენებდა თუ ვით ძნელი იყო მისი თავისუფლების შელახვა.

ქართველი დედა კი მადლობით იტყოდა ლოცვას შვილს საგზალს მოუმზადდა. სუფთა ტანსაცმელს ჩააცმევდა, გადაჰკოცნიდა, გზას დაულოცავდა და ეტყოდა: შვილო გწყალობდეს საქართველოს წმინდა გიორგი და მენახე მალე გამარჯვებული და მტერზე თამამიო:

სხვას ვერას იტყოდა, ვერც მოახერხებდა მისი გონება, რადგან ქართველები მხოლოდ გამარჯვებისთვის იყვნენ დაბადებულნი და მარტო გამარჯვებაც სწამდათ, სწამდათ დარწმენა არც გამტყუნებიათ.

გაეშურებოდენ საზღვრებისაკენ და სწრაფ ეკვეთებოდენ კადნიერ მტერს.

და დღესაც, ყოველთვის გამარჯვებას ჩვეულთ კვლავ გვესმის ხმა: საზღვრებისაკენო.

მთელი ქართველი ხალხი უნდა დაირაზმოს და გაეშუროს საზღვარისაკენ.

ქართველმა დედამ უნდა სთქვას ლოცვა და შვილი თავისი დალოცოს წმინდა და ძლიერი სიტყვით.

,,შვილო გწყალობდეს საქართველოს წმინდა გიორგიო''.

ჩვენ ვისმინოთ ეს ლოცვა და გავეშუროთ საზღვარისაკენ, წინ გავიძღოლოთ თეთრი გიორგის დროშა და თამამად ვსთქვათ გამარჯვების სიტყვა. ამაყად გადავხედოთ მტერს: ჩვენ ვდგევართ საზღვარზე და გიჯობს გაბრუნდე უკანვე.

ამ გამარჯვების გრძნობით მხიარულათ გავეშუროთ საზღვრებისაკენ.

სოფლის საჭიროებანი.

ჩვენი სოფელი ეხლა დიდ გაჭირვებაშია. გვიჭირს ყველაფერი არა გვაქვს ჩითი, ფანელი, რომ ჩვენი მოკეთეები რიგიანათ შევმოსოთ ამ ზამთარში მაინცა. ყველაზე უფრო გვიჭირს რკინეულობა: ნამგალი, თოხი, სახნისი, ცული, წალდი—ყველაფერი ძალიან გაძვირდა და არც იშოვება ქალაქებში. ლურსმანიც კი ვერ გვიშოვია საკმარისი.

როგორც ჰგავს სიძვირე კიდევ იმატებს და არ მოიკლებს. ეხლა პირშავი სოციალ-დემოკრატები ბევრსა გვპირდებოდენ და ყველაფერი სულ პირ-უკუღმა დაამხვეს. ასე რომ ჩვენ ეხლა იმედი სულაც არა გვაქვს სოციალ-დემოკრატების. ჩვენ ეხლა ისევ თვითონ უნდა შევუდგეთ ჩვენს საქმეს. მაგ გუშინდელ მყვირალა მოქადაგეთ რომ შევაჩერდეთ, აი იქ, ევროპასა და დუმებში რომ ფართოდ მოიკალათეს, მაგათ რომ ვუყუროთ—ჩვენ მთლად ერთიან დაგვღუპვენ.

მაშ რაღა უნდა ვქნათ?

ყველაზე უწინ არაფერ ჩვენს საქმეში მაგათთანა უსაქმური, ზარმაცი ხალხი, აი ის სოციალ-დემოკრატები რომ არიან, ჩვენ არ უნდა გავრიოთ. ზარმაცი და უსაქმური ადამიანი ხომ ყოველთვის საქმეს ხელს შეუშლის და გააფუჭებს. სოციალისტებიც საქმეს ყოველთვის აფუჭებენ. თუ ამ სოციალისტებს მოვიშორებთ საქმეებიდან, ხელის შემშლელებიც გვეყოლება.

მერე რაღა ვქნათ კიდევ?

ჩვენ ყველანი ვინც ნამდვილი სოფლის მშრომელი ვართ, ვისაც ორი კვალი მიწა გვაქვს და მუშაობის შნო და უნარი შეგვრჩენია, ჩვენ ყველამ ერთად უნდა თავი მოვიყაროთ ჩვენს სოფელში, ერთი მეორეს პირი მივცეთ, პირობით შევკრათ და ჩვენი სოფლის ყველა მწარმოებელთა ერთი ამხანაგობა გავიჩინოთ. თითო ორი თუმანი ყველას გვაჩნია სახლში. ეს ფულები მალე ეცემა ღირებულებით. დღეს რომ ასი მანათია, ხვალ ის ხუთი თუმნის ღირებულებასაც წარმოადგენს.

ეს მოგვიტანა სოციალისტების ბატონობამ.

ჩვენი ფული თუ რომ კიდევ დიდხანს გავიჩეროთ შინ, ჩვენ სულ ერთიანად გავკოტრდებით, რადგან ეს სოციალისტები და სოციალ-დემოკრატები კიდევ იმდენ სიგლახეს ჩაიდენენ, რომ ფული სრულიად დაეცემა, ეგენი საქმეს ისე გააფუჭებენ, რომ ათას თუმანს კაპიკათ გახდიან.

ჩვენ კი მაგათ თავს არ გავაფუჭებინებთ.

ჩვენს სოფელში რომ ყველანი ერთიმეორესთან პირობით შევეკრებით და ამხანაგობა გვექნება, ყველანი ჩვენ ჩვენს წილს შევიტანთ საამხანაგოს საერთო თანხისთვის, შემდეგ ჩვენვე დავაყენებთ საქმეში ჩვენს კაცს, რომელიც შრომასა და კაფას არ გაურბის. მას ცოტა ჯამაგირს მივცემთ და თუ რაც რამე დაგვჭირდება, გავყიდოთ: ღვინო, ხილი, ერბო, მატყლი, თამბაქო, ხე-ტყე, თუ სხ. რამ, ყველაფერს გადავცემთ ჩვენს ამხანაგობას, რომელიც ჩვენივე დახმარებით ბაზარზე საქონელს გამოიტანს და გაჰყიდის. აქ ყველანი ცალ ცალკე კი აღარ ვიქნებით, არამედ მთელი სოფელი როგორც ერთი კაცი, ისე იქნება ბაზარზე. როგორც ერთი გამყიდველი ისე გამოვა მყიდველის პირის-პირ აქ ერთი-მეორესთან ჯიბრობა და შეტაკება აღარ გვექნება. სოც.-დემოკრატები და ყველა სოციალისტები ჩამოცილებული გვეყოლება და ჩვენი საქმის ბატონ-პატრონი ჩვენვე ვიქნებით.

ამრიგათ გავყიდით ჩვენს ჭირნახულს. სამაგიეროთ რაც კი საყიდელი გვექნე იგივე ამხანაგობა თვითონ შეიძენს. იყიდის და წევრებზე გაანაწილებს სოფელში.

მერე რითია კარგი ამხანაგობა?

რითია ცუდი ყოველი კერძო მწარმოებელმა რომ გაჰყიდოს და იყიდოს რაც სურს?

აი რაშია საქმე.

როცა მთელი სოფელი ან რამდენიმე სოფელი ერთად ერთ ამხანაგობაშია თავმოყრილი და ბაზარზე საქონლის გამყიდველათ ეს ერთად ერთი ამხანაგობა გამოდის, მაშინ ფასებს საქონელზე მეტს გვაძლევენ. რადგან მყიდველი ჰხედავს, რომ ბაზარზე ერთად ერთი გამყიდველია ცხადია, რომ ფასების დაწესებაც

კვირიდან-კვირამდე

გაზეთების ცნობით, საქართველოს მთავრობა მთელი შემადგენლობით გადადგა. ახალ მთავრობის შედგენა მთავრობის თავმჯდომარე ნოე ჟორდანიას მიენდო.

სომხებსა და ქემალ-ფაშის სარდლობის შორის შენანხმება არ მოჰხდა, რადგან ოსმალებმა მძიმე პირობები წაუყენეს, სახელდობრ რკინის გზის და იარაღის ჩაბარება, რაზედაც სომხებმა უარით უპასუხეს.

ოსმალების ჯარი ალექსანდრეპოლთან ებრძვის სომხებს.

ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის არჩევნებში რესპუბლიკანულმა პარტიამ გაიმარჯვა.

ავსტრიის მთავრობამ ერთა ლიგაში შესასვლელად შუამდგომლობა აღძრა.

1894—1895 წლებში დაბადებულ საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეთა შევბულების ბარათს ძალა აქვს ამის შესახებ სამხედრო მინისტრის საგანგებო ბრძანებამდე.

,,ზიბის'' ცნობით ჩრდილოეთ კავკასიაში აჯანყებულებმა გროზნა აიღეს.

ბოლშევიკური ცნობით პოლონეთის სეიმი ვილნოს თხოულობს.

წერილები.

მეთაური: მთავრობის კრიზისი.
საზღვრები უნდა გამაგრდეს:
სოფლის საჭიროებანი. სოფლელი.
მუცლის სახადი ანუ ტიფი. ექ. ხ. ია—შვილი.
ხაჭიჭორა ანუ განირი. კოკინია დგებუაძის
ნარინჯოვანი ხეხილი და მისი მოშენება ჩვენში.
დარიგება საქონლის მოვლის შესახებ. ექ. ბეითალ ი. ქუთათელაძისა.
კორესპოდენცია: ყვარელი.

ჩვენდა სასარგებლოდ მოხდება. თუ რამე მე დაგვჭირდება საყიდელი: შაბიამანი, რკინეულობა, იარაღი, ფართლეულობა თუ სხ. იგივე ამხანაგობა შეიძენს ბაზარზე. აქ მხოლოდ ერთი მყიდველი იქნება რამდენიმე სოფლების მაგიერ და, რასაკვირველია, ფასიც ნაკლები იქნება.

ერთის სიტყვით, ჩვენ ეხლა ერთსა ვცდილობთ, რომ რაც კი საჭიროა ჩვენთვის იაფათ ვიყიდოთ და რაც კი გასაყიდი გვაქვს ძვირად გავყიდოთ. ეს კი მოხდება მთელი სოფლის მშრომელთა და რამოდენიმე სოფლების დარაზმვა მწარმოებელთა ამხანაგობაში. ვინც ნამდვილი მწარმოებელია, მშრომელია, ყველა წევრია ჩვენი ამხანაგობისა. ესეც ისე უნდა მოეწყოს, რომ სწრაფად ანაღდებდეს ჩვენს საქონელსა და ჩვენთვის ერთბაშათ ყველასთვის საჭირო საქონელი პირდაპირ უცხოეთიდან, საზღვარ გარეთიდან გამოიწეროთ და დროზე თვითონვე მიიღოს. ჩვენ ეგრე ავიცილებთ თავიდან უსაქმურა სოციალისტებსაც და შუამავალ წურბელაებსაც, ქალაქებში რომ სხედან და ჩვენსას იაფად ყიდილობენ თავიანსას კი ძვირად გვაძლევენ. ამათ ყველას მშრალზე დავტოვებთ.

ჩვენი ამხანაგობა ნამდვილი მშრომელთა ამხანაგობა იქნება და ჩვენც ყველანი ერთგული ვიქნებით ჩვენი საქმისა.

სოფლელი.

კაბინეთის კრიზისის გარშემო.

მთავრობა მიდის მთელი შემადგენლობით.

ოთხშაბათს ნოემბრის 11 ს შესდგა დამფუძნებელი კრების სოც.-დემ.ფრაქ. საგანგებო კრება, რომელზედაც განხილულ იქმნა მთავრობის თავმჯდომარის ბ. ნოე ჟორდანიას განცხადება: ბ-ნმა ნოე ჟორდანიამ განაცხადა, რომ მისი მთავრობის მთელი შემადგენლობით უნდა გადასდგეს.

ბ-ნ ჟორდანიას განცხადებამ ხანგრძლივი კამათი გამოიწვია ს. დ. ფრაქციაში, და იგი მიღებულ იქმნა.

ახალი კაბინეთის შედგენა ისევ ბ ნ ნოე ჟორდანიას მიანდვეს.

,,სარეკომენდაციო კომისია''.

სოციალ-დემოკრატიულ წრეებში დიდი თათბირია გამართული ახალი კაბინეთის ორგანიზაციის გარშემო.

საზოგადოებრივ წრეებში უკვე ასახელებენ მომავალ სამინისტრო პირებს, მაგრამ, იმ ცნობებით, რომელიც ჩვენ გვაქვს, მენშევიკების ხელ ძღვანელები ჯერ ჯერობით ვერ შეთანხმებულან ახალი კაბინეთის შემადგენლობის შესახებ.

სოც. დემოკრატიული ფრაქციის მიერ არჩეულია განსაკუთრებული კომისია, და სარევოლიუციო ტერმინოლოგია რომ ვიხმაროთ—,,სარეკომენდაციო კომისია'', რომელსაც დაევალა ბ ნ ნოე ჟორდანიას დაეხმარონ მთავრობის ორგანიზაციის საქმეში.

ამ კომისიაში, სხვათა შორის, შედიან ვალიკო ჯუღელი და სილიბისტრო ჯიბლაძე (,,ერთობის'' ,,განი'', ალბით შეცდომით თუ გამოერჩა ფრაქციას!) უსურვებთ ამ ,,სარეკომენდაციო კომისას'' დაკისრებული მძიმე საქმე კეთილად დაასრულოს. (საქართველო)

სომხეთ-ოსმალეთის ომი.

სომხეთის მისიის ცნობა.

საქართველოში მყოფი სომხეთის დიპლომატიური მისია იუწყება: ნოემბრის 7 სომხეთისა და ოსმალეთის ეროვნული სარდლობის შეთანხმებით შესწყდა სამხედრო მოქმედება. ნოემბრის 8 ალმ. ფრონტის ოსმალთა ეროვნ. ჯარის სარდლობა გენ. ლეიტენანტმა კიაზიმ კარაბექირმა ჩვენს სარდლობას აუწყა, რომ მათ ანგორის მთავრობისაგან მიიღეს დროებითი ზავის პირობები, რომლის მიღების შემდეგ შესაძლებელი იყო ზავზე მოლაპარაკება. დროებით ზავის პირობები შემდეგია:

1. 24 საათის განმავლობაში ჩააბარონ ოსმალებს პირობაში ჩამოთვლილი იარაღი და რკინის გზის მოძრავი შემადგენლობა, 2. სომხეთის ჯარისა და რეგულიარული ნაწილის უკან დახევა მდ. არპაჩაის, მდ. ალიგიზის, სადგ. კირმიზლის-კოლეჯანის-ნალბანდ-ვორონცოვკის ხაზის აღმ. 3. იგდირის ფრონტზე სომხეთის ჯარი დაიხევს: სურმალუ—სადგ. არაქსკიზილ-ზიარეცის ალგეზის მთის კალთების—ტაფა კირშაკის ნოვომიხაილოვკის ნარაკენდის-შირმატ-იალვანდაგის ხაზის აღმოსავლეთით. 4. დროებითი ზავის შემდეგ შეჩერდება სამხედრო მასალის გადატანა: სანაინ-ალექსანდროპოლის ხაზით. ტრანსპორტის შესამოწმებლად ოსმალები აწყობენ საკონტროლო კომისიას სადგ. სანაინზე და კარაკლისში. დროებითი ზავი ანგორის მთავრობის დადგენილებით უნდა გაგრძელდეს 7 დღე, რის შემდეგ დაიწყება ზავზე მოლაპარაკება. ამ მოთხოვნილებათა ასრულებლად ვადა გადიდებული იქნა კიდევ 24 საათით. სომხეთის მთავრობამ აუწყა ოსმალთა ეროვნულ სარდლობას, რომ წარდგ. პირობაზე მსჯელობა ადგილი ექნება მხოლოდ გუმბრში საზავო დელეგაციის შეხვედრის შესახებ, ამაზე ანგორის მთავრობის სარდლობამ უპასუხა, რომ მისთვის არ დაუვალებიათ შესცვალონ დროებითი ზავის პირობები და რომ ამ დროებითი პირველი პირობები წარმოადგინა არა ანგორის მთავრობამ, არამედ სარდლობამ. ანგორის მთავრობის მიერ წარმოდგენილი დროებითი ზავის პირობები, სომხეთის მთავრობამ იცნო დამამცირებლად და უარყო.

ნოემბრის 11 ოსმალებმა სამხედრო მოქმედება განაახლეს.

ანტანტა და სომხეთ ოსმალეთის ფრონტი.

ბათომიდან ჩვენი კორესპონდენტი გვატყობინებს:

სტამბოლში მოწვეულ იქმნა ანტანტის უმაღლეს კომისართა საგანგებო თათბირი, ქემალ ფაშის მიერ სომხეთზე თავდასხმისა და ამიერ კავკასიაში შექმნილ მდგომარეობის შესახებ. მიიღეს მნიშვნელოვანი რეზოლიუციები, რომელსაც ჯერ-ჯერობით საიდუმლოთ ინახავენ.

სომხეთის დიპლომატიური მისია ოფიციალურად იუწყება: ნოემბრის 1 ს გუმბრის მიმართულებით ჩვენმა რაზმის ნაწილებმა დაიკავეს სოფლები: კანახკრანი, ტაპარლი, ხატინა-ხარ-გული და კატანეკი, ტყვეთ წამოვიყვანეთ 10 თათარი. დანარჩენ ფრონტზე მდგომარეობა არ შეცვლილა, ნოემბრის 12-ს ერევნის რაზმისაგან ცნობები არ მოსულა.

ოსმალების მოთხოვნილება.

იმ პირობებში, რომელიც ანგორის მთავრობამ წარუდგინა სომხეთს მოხსენებული იყო შემდეგი მოთხოვნა: 24 საათის განმავლობაში სომხებს უნდა ჩაებარებიათ ალექსანდროპოლში 2000 სრულიად სავარგისი ვინტოვკა. 20 მძიმე და 40 მსუბუქი ტყვის მფრქვეველი. ზარბაზნების სამი ბატარეა 40000 ყუთი სამხედრო მასალით, 6000 ყუმბარა, 2 ორთქმავალი და 50 ვაგონი. (ს. დ. ს.).

ბულგარეთის შუამდგომლობა ერთა ლიგის წინაშე.

ბულგარეთმა ერთა ლიგის საბჭოს შუამდგომლობით მიმართა, რომ იგი ლიგაში ჩარიცხონ. (ს. დ. ს.)

ინგლისი და საბჭოთა რუსეთი.

ლონდონი. დიდი ბრიტანეთის სავაჭრო სამრეწველო პალატების ასოციაციამ მთავრობას განცხადება გაუკეთა იმის შესახებ, რომ მას არა სურს რუსეთთან ნორმალურ სავაჭრო დამოკიდებულების აღდგენა, მანამ, სანამ იგი ინგლისის ვალს არ აღიარებსო. (ს. დ. ს.

ირლანდიის ავტონომია.

ლონდონიდან იუწყებიან: თემთა პალატამ მეორე წაკითხვის შემდეგ მიიღო მთავრობის პროექტი ირლანდიის ჰომრულის შესახებ. პროექტი გავიდა 156 ამის წინააღმდეგ 76 ისა. (ლიონის ცნობა).

სომხეთ-აზერბაიჯანის კონფერენცია.

აზერბაიჯანის მთავრობის შეკითხვაზე სომხეთის მთავრობამ თანხმობა განაცხადა მოიწვიონ ბაქოში სომხეთ აზერბაიჯანის კონფერენცია, სომხეთის დელეგაციის თავმჯდომარედ დაინიშნა აზერბაიჯანში მყოფი დიპლომატიური წარმომადგენელი მ. არუტუნიანი, წევრათ ა. ტერტერიანი (დაშნ.) და ლ. ანანუნი (ს.დ.) (ს. დ. ს.)

ადრიატიკის საკითხი.

სანტ მერგერიტიდან იტყობინებიან: იტალიისა და სამხრეთ სლავიის დელეგატებს შორის საზღვრების შესახებ შემდეგი შეთანხმება მოხდა: 1. ისტრიაში ორივე მხარემ მიიღო საზღვრების ის ხაზი, რომელიც ლონდონის ხელშეკრულებაში აღნიშნულ ხაზს უდრის, შეცვლილია მხოლოდ მისი მცირე დეტალები. 2. ფიუმე ცხადდება დამოუკიდებლათ, მისი ტერიტორია ესაზღვრება იტალიის ტერიტორიას. 3. ზარა იტალიის სუვერენიტეტის ქვეშ იქნება. 4. კვარნეროში არსებული კუნძულები: გერსო, ლიუსინო და უნივ. კვარნეროს ადრიატიკაში არსებული კუნძული ლიგას და იტალიას გადაეცემა. ამის შემდეგ მოხდება შეთანხმება. (ლიონის ცნობა).

ტრაპიზონის ცნობები.

(საკ. კორესპ.)

ქემალ ფაშის ბრძანებით მთელ ტერიტორიაზე (რომელიც ქემალისგან არის დაკავებული), გამოცხადდა საყოველთაო მობილიზაცია ყველა ქვეშევრდომთა და ყველა ეროვნებათა 16 წ. 50 წლამდე.

ყარსის აღებამ აღაფრთოვანა ქემალის მომხრეები.

— ტრაპიზონის ზოგიერთი გაზეთები იუწყებიან, რომ ოსმალთა ჯარმა ქ. გუმბრი აიღო და ერევანზე მიდისო.

— ზამთრის ოპერაციების ძალიან ეშინიათ ქემალისტებს, რადგან უტრანსპორტობით ჯარის გადაყვან გადმოყვანის და მის გამოკვების შესაძლებლობას ვერ ხედავენ.

ჯულაშვილის პოლიტიკა აზერბეიჯანში.

უკანასკნელ დღეებში ბაქოდან ჩამოსულმა პირმა გვიამბო შემდეგი. ჯულაშვილი—სტალინი დღეს ბაქოში იმყოფება, მოსკოვის მთავრობის რწმუნებულად, რომელსაც განზრახული აქვს საბჭოთა აზერბეიჯანის საშინაო და საგარეო პოლიტიკაში რადიკალური ცვლილებები შეიტანოს.

საშინაო პოლიტიკაში ეს ცვლილება უნდა შეეხოს უმთავრესად ეკონომიურ ცხოვრებას, ვაჭრობა მრეწველობის თავისუფლების აღიარებითა და საბჭოთა რეჟიმის ძირეულად გარდაქმნით.

საგარეო პოლიტიკის სფეროში კი უფრო პრინციპიული ხასიათის რეფორმაა განზრახული, რომელიც საბჭოთა მთავრობას საერთო საგარეო პოლიტიკას სავსებით ახალ მიმართულებას აძლევენ ბაქოსკენ წამოსვლისას გზ. ,,პრავდაში'' ჯულაშვილმა წერილობით ჩამოაყალიბა ამ პოლიტიკის ძირითადი დებულებები; არსებითად უარყოფილია ბოლშევიკების აგრესიული პოლიტიკა ყოფილ საიმპერიო რუსეთის ტერიტორიაზე აღმოცენებულ სახელმწიფოებს მიმართ. ჯულაშვილი მოითხოვს საბჭოთა მთავრობის მხრით ცნობილი იქნას ყველა ახალი სახელმწიფოს დამოუკიდებლობა და სიფრთხილით მოეპყრონ ადგილობრივ მცხოვრებთა ეროვნულ ზნე-ჩვეულებებს.

ბაქოში ჯულაშვილი შეეცდება უმთავრესად საქართველოსთან დამოკიდებულების მოწესრიგებას.

კონფლიქტი ქიამალისტებსა და ბოლშევიკების შორის.

სარწმუნო წყაროების ცნობით ჩიჩერინსა და ქიამალ ფაშას შორის უთანხმოება ჩამოვარდა; მოსკოვის მთავრობის დირექტივების თანახმად ქიამალ-ფაშას ყარსის დაკავების შემდეგ სომხეთზე იერიშები უნდა შეეჩერებია და თავისი ლაშქარი ავღანისტან სპარსეთის წინააღმდეგ უნდა წაეყვანა.

მიუხედავად ასეთი წინასწარი შეთანხმებისა ქიამალ ყარსზე არ შეჩერდა და გუმბრიც დაიკავა. ანატოლიის დიქტატორის ასეთი ურჩობა არაფრად ეჭაშნიკა მოსკოვის მთავრობასა და ამ ნიადაგზე სერიოზული კონფლიქტი დაიბადა მათ შორის.

ქიამალ ფაშას ლაშქრის, ყარსში და გუმბრში შესვლისთანავე ადგილობრივი მუსლიმანები არა ჩვეულებრივი ენტუზიაზმით შეხვდენ და ბოლშევიკური რეჟიმისაგან შეურაცხყოფილნი და შევიწროებულნი განსაკუთრებულის უკმაყოფილებით აღნიშნავდენ საბჭოთა წესწყობილების გამანადგურებელ შედეგებს აზერბეიჯანის მუსლიმანებისათვის. ამ გარემოებამ ჩააფიქრა ქიამალი და დღეს მას მიზნად აქვს დასახული აზერბეიჯანიდან საბჭოთა მთავრობის გაძევება.

უთუოდ ამ კონფლიქტთან აქვს კავშირი ბაქოში ახალი პოლიტიკური პროგრამით სტალინ—ჯულაშვილის ჩამოსვლას.

გროზნის აღება.

ყაზბეგი. ყაზბეგში ჩამოსულ ჩრდილოეთ კავკასიიდან ლტოლვილი ბოლშევიკების გადმოცემით აჯანყებულებმა ყიზლიარ მოზდოკზე თავგანწირულ იერიშების შემდეგ დაიკავეს გროზნა; ბოლშევიკი კომისრები გროზნიდან გაიქცენ. ,,ზიბი''.

საბჭოთა რუსეთის შემადგენლობა სომხეთ-ოსმალეთის ომში.

მოსკოვი. ნოემბრის 11 (რადიო). ფრიად სასწრაფოდ. კრასინს.

საბჭოთა რუსეთმა წინადადებით მიმართა სომხეთსა და ოსმალეთს მიიღონ მისი შუამდგომლობა კონფლიქტის მოსაგვარებლად. ოსმალეთის ნაციონალისტების ასეთი ბრწყინვალე იერიშების შემდეგ სომხეთის მდგომარეობა ერთობ კრიტიკულ მდგომარეობაშია, და ასეთს დროს საბჭოთა რუსეთის მთავრობის შუამდგომლობა აუცილებელია. საბჭოთა მთავრობას არასოდეს აზრად არ ჰქონია მიზნად მოეხდინოს ნახიჩევანის, ჯულფის, ზანგეზურისა და ყარაბახის ანექსია. რუსეთის ლაშქარმა ეს სადავო რაიონები დაიპყრო მანამ, სანამ მათ შესახებ საკითხი საბოლოოდ გამოირკვეოდეს ორივე სახელმწიფო თავის პრეტენზიას აცხადებს ამ რაიონებზე. ნახიჩევანში მუსლიმანური მოსახლეობაა, ზანგეზურში კი შერეული ეთნიური ერთეულები, რაც ერთობ ართულებს საკითხის სასურველად მოგვარებას''.

ჩიჩერინი.

კერზონის ნოტა კრასინის მიმართ.

ლონდონი. ლორდ კერზონმა კრასინის სახელზე გაგზავნილ საგანგებო ნოტაში შავ ზღვაში ჩაშვებულ საბჭოთა წყალქვეშა ნავების აგრესიული განზრახვა აღნიშნა. ლორდ-კერზონი საბჭოთა წყალქვეშა ნავის მოქმედების ყველა შედეგების სასუხის მგებლობას საბჭოთა მთავრობას აკისრებს. (ს. დ. ს.)

აჯანყება ჩრდილოეთ კავკასიაში.

ყაზბეგში. ჩრდილოეთ კავკასიაში ბოლშევიკების წინააღმდეგ გრანდიოზული აჯანყება. საბჭოთა მთავრობამ თავი შეაფარა გროზნას და აქედან აგზავნის დამცველ რაზმებს აჯანყებულთა დასამშვიდებლად. რეპრესიები ყოველგვარ სიმკაცრეს აღემატება. განადგურებული და გადამწვარია ზოგიერთი სოფლები ხანგრძლივი ხელჩართული ბრძოლის შემდეგ აჯანყებულებმა დაიკავეს ყიზლიარი მოზდოკი და კისლავოდსკი, ესენტუკი, და პიატიგორსკი. წითლებს წაართვეს ორი ჯავშნიანი მატარებელი. აჯანყებული ინგუშები და ჩეჩნები ვლადიკავკავს უტევენ.

ყაზბეგში ჩამოვიდენ გამოქცეული ბოლშევიკი კომისრები, რომელნიც ჩრდილოეთ კავკასიაში ბოლშევიკური მთავრობის ჩამოგდების ამბავს გადმოგვცემენ.

დაღესტანშიც პეტროვსკი-შურას რკინის გზის ლადანგი აჯანყებულთა ხელშია. ბოლშევიკებმა დასტოვეს დაღესტანი. აჯანყებულ მთიელებს მეთაურობს შამილის ოჯახის ერთ ერთი პოპულიარული მხედარი. (,,ზიბი'').

პოლონეთი ვილნოს თხულობს

პოლონეთის სეიმმა სახელმწიფო სათათბირომ წინადადება მისცა მთავრობას, მიიღოს ზომები, რომ ვილნოს მცხოვრებლებმა შესძლონ გამოსთქვან სურვილი პოლონეთის სახელმწიფოსთან შეერთებისა.

საბჭოთა რუსეთის შინაური პოლიტიკა.

ინგლისური პრესა იუწყება: საგარეო საქმეთა სამინისტრომ საბჭოთა მთავრობას წინადადება მისცა შინაური პოლიტიკის რადიკალურ შეცვლის შესახებ. (ს. დ. ს.)

რესპუბლიკანელების გამარჯვება ამერიკაში.

ლონდონი. (რადიო) შეერთებულ შტატებში პრეზიდენტის არჩევნების კანონიერებაში ეხლა ეჭვი აღარავის არ აქვს. სიების შემოწმებით გამოირკვა,—რომ ყველაზე მეტი ხმა მარტინგს მოუვლია. ამ გვარად რესპუბლიკანურმა პარტიამ კვლავ აღადგინა თავისი ძლიერება. ხმების უმრავლესობა ექვს მილიონ ხმას უდრის.

იტალიის წარმომადგენელი საქართველოში.

იტალიის მისია იუწყება: იტალიის მთავრობამ საქართველოში იტალიის პოლიტიკურ აგენტათ დანიშნა ჩერუტი. ეს იტალიის ყოფილი ელჩია ბუდაპეშტში.

(ს. დ. ს.)

ტრაპიზონის ცნობები.

— ტრაპიზონის ბერძნულ წრეებში დაბეჯითებით ამბობენ, რომ მოკლე დროში ამიერ-კავკასიაში ქემალსა და ბოლშევიკების შორის კონფლიქტი მოხდებაო.

— ბერძნის ჯარების წინააღმდეგ ქემალ ფაშა ლაზების მობილიზაციას განაგრძობს.

— ქემალის წრეებში აზრი ტრიალებს რომ თუ ქემალმა ბაქომდე მიაღწია, მერე მისი ლაშქარის არსებობა უზრუნველყოფილიაო.

— ქემალ ფაშამ აკრძალა მთელ სამხედრო ტერიტორიაზე უცხო გაზეთების გავრცელება.

(ბ. ფ.)

სევრის ხელშეკრულობის გარშემო.

ლიონი. ვინაიდან სევრის ხელშეკრულების რატიფიკაცია ოსმალეთს ჯერ კიდევ არ მოუხდენია, ამიტომ ოსმალეთისათვის შეპირებული დახმარება მეტად შემცირდება. სურთ, რომ ამ გზით იმოქმედონ ოსმალეთზე და თუ აქედანაც არაფერი გამოვიდა მაშინ შეთანხმების სახელმწიფოები ოსმალეთს ულტიმატუმს წარუდგენენ. ,,პტი პარიზიენის‘‘ ცნობით ოსმალეთის მთავრობა უარს არ ამბობს ხელშეკრულების რატიფიკაციაზე, მაგრამ თხოულობს რომ ანგორში წინასწარ გაიგზავნოს მოკავშირეთა მისია. (ს. დ. ს.)

ბოლშევიკები სომხეთის ფრონტზე.

ბაქო. თურქესტანიდან ბაქოსკენ გადმოსხეს წითელი ლაშქარის დიდი ნაწილი. წითელი ლაშქარი თავს იყრის უმთავრესად სომხეთის ფრონტზე. (,,ზიბი‘‘).

დეპეშები.

ს. დ. ს. საინფ. ბიუ. ცნობები.

ამერიკის ლაშქარი.

ვაშინგტონი. ამერიკის პრესა აღნიშნავს პროექტს ამერიკის ლაშქარის ორგანიზაციის შესახებ. თანახმად პროექტისა განზრახულია დივიზიის შემადგენლობის გაძლიერება. ყოველ პოლკში წინააღმდეგ ერთისა, სამი ტყვიის მფრქვეველთა როტა იქნება.

ვრანგელი და ჩრდილოეთი კავკასია.

პარიზი. ,,ტანი‘‘ იუწყება: გენერალმა ვრანგელმა ჩრდილოეთ კავკასიის მთიელებს სთხოვა მხარი დაუჭირონ ანტიბოლშევიკურ ძალებს. ვრანგელი თავის მოწოდებაში ურჩევს მთიელებს შეუერთდნენ მის ჯარს ბოლშევიკებთან საბრძოლველად.

მოძრაობა ინდოეთში.

ლონდონი. ,,ტაიმსი‘‘ იუწყება: ინდოეთში მოძრაობა ინგლისის რეფორმების პროექტის წინააღმდეგ ძლიერდება. მოძრაობას სათავეში უდგას მანდი და ძმები ალი. ზოგიერთმა პროვინციებმა გადასწყვიტეს ბოიკოტი გამოუცხადონ ინგლისის რეფორმებს.

გერმანია და საბჭოთა რუსეთი.

ბერლინი. პრესა აღნიშნავს, რომ საბჭოთა რუსეთმა კრუპის ქარხნებს შეუკვეთა 2000 სამეურნეო მანქანა რომელთა საერთო ღირებულებაც 5 მილიარდ მარკას უდრის. ნაწილი ამ ფულისა თანახმად გაზეთ ,,ანტანტის‘‘ ცნობისა გადახდილი უნდა იქნეს ოქროთი, ნაწილი კი კონცესიებითო.

მატარებლების მიმოსვლა რუსეთში.

სტოკჰოლმი. გაზეთები გადმოგვცემენ, რომ რუსეთში აღმოსავლეთ რაიონის გზებზე მატარებელთა მოძრაობა ოდნავად გაუმჯობესდაო. მატარებლები რომლებიც მხოლოდ 10 ვერსტს გადიოდენ საათში ეხლა უკვე 15 ვერსტს გადიანო.

კარტოფილის კრიზისი.

ფრანკფურტი. ქალაქში და მის ახლო მდებარე ადგილებში ქართოფილის კრიზისია. ახლო მახლო მიდამოებში მუშებსა და გლეხებს შორის შეტაკება მოხდა. მუშები ამტკიცებენ, რომ გლეხები კართოფილს მალავენო.

სიძვირე საფრანგეთში.

პარიზი. გაზეთი ,,ლ-ანტანტი‘‘ იუწყება; საფრანგეთში ცხოვრება თანდათან ძვირდება. ფინჯანი ყავა 3 ნახ. პენსი ღირს. განსაკუთრებით გაძვირდა ფეხსაცმელები, წინდები, ტანისამოსი და სხვა. იგივე გაზეთი გადმოგვცემს: საფრანგეთის მინისტრთა საბჭო მეტად შეშფოთებულია ცხოვრების ასეთი გაძვირებით. სიძვირესთან საბრძოლველ ზომების გამოსამუშავებლად მინისტრთა საბჭომ საგანგებო თათბირი მოიწვია.

სურთ რომ მცხოვრებთათვის მოიმარაგონ: პური, ხორცი, და თევზი.

ბოლშევიკების ტაქტიკა.

ვარშავა. ზინოვიევის თქმით ,,ბოლშევიზმის გავრცელების ტაქტიკა ყველგან დროსა და ადგილას უნდა შეეფერებოდეს. ამ აზრით ზინოვიევს მსოფლიოს ჰყოფს ოთხ კატეგორიად. 1. რუსეთი, სადაც პროლეტარული რევოლიუცია ფაქტია, 2. გერმანია, ავსტრია, იტალია და ნაწილობრივ ბალკანეთის სახელმწიფოები. სადაც პროლეტარული რევოლიუცია მძიმე პირობებში მზადდება, 3) ინგლისი და საფრანგეთი, სადაც ჯერ ჯერობით ბურჟუაზიაა გამარჯვებული და სადაც მუშათა კლასში ღირებულებათა ხელახალი გადაფასება ჩქარის ტემპით ხდება და 4. დაჩაგრული ერები და კოლონიები, როგორიცაა მაგალითად ინდოეთი ირლანდია და ნაწილი ოსმალეთისა, სადაც ბოლშევიკების ხელმძღვანელობით მოწყობილმა მოძრაობამ ეროვნული ხასიათი მიიღო.‘‘ ყირიმი.

ქრონიკა.

სხვა და სხვა.

— ნავთი ბათუმიდან. ნავთსადენის უფროსმა ინჟენერმა ოგანეზოვმა მოითხოვა 100 ქვაბი ბათუმიდან სად. აგტაგლასა და თბილისში ნავთის გადმოსატანად რკინის გზის სამმართველომ განკარგულება გასცა ეძლიოს დღეში 20 ქვაბი.

— გადმოხვეწილთ ბერძნებთ. სომხეთის რკინის გზის სად. შაგალაში მოვიდა ს. სესელე-დადაკიდან გადმოხვეწილი 450 ოჯახი ბერძენთა. ესენი თხოულობენ და განჯაში მყოფი სამეფო მისიაც ადასტურებს—რომ ნება მიეცეთ ბათუმში ჩასვლისა, საიდანაც საბერძნეთში გაემგზავრებიან. საზღვრებზე გადასვლის ნებართვის მოლოდინში, გამოქცეულები ცის ქვეშ ჰყრიან და აქ სიცივეში შენობათა კედლებს ეფარებიან.

— სენაკის ერობამ მოიწვია ექიმი ვეტერინარი თედო ცინცაძე მაზრის მესაქონლეობის ინსტრუქტორად და სავეტერინარო— სანიტარულ ხელმძღვანელად.

ახლო მომავალში სენაკის ერობის ინიციატივით და ქ. სენაკის ქალაქის გამგეობის, კოოპერატივის და ბანკის მონაწილეობით არსდება საქართველოში პირველი რძეულობ. ლაბორატორია თ. ცინცაძის ხელმძღვანელობით, დამუშავებულ იქნება კვეთი (დვრიტა). ჩნის წებო ,,გილათი‘‘ (ლაქტარანი), პეპსინი. პეპტონი და სხვა პრეპარატები.

— ,,გორის სამასწავლებლო სემინარიის პირველ კლასში თავისუფალია 20-მდის სტიპენდია. სტიპენდიატებს გარდა სტიპენდიისა მიეცემათ ბინა. მიღება გაგრძელებულია 1 დეკემბრამდის. სემინარია მოთავსებულია სურამში‘‘.

— მიეცეს ოზურგეთის ქალაქის თავს უფლება გაიტანოს საზღვარ გარეთ 2000 ფუთი ნიორი.

— ჯანმრთელობის დეპარტამენტში. ჯანმრთელობის დეპარტამენტმა შეადგინა მორიგი მერვე ნოემბერი ბიულეტენისა გადამდებ სენთა მსვლელობის შესახებ. ნოემბრის პირველიდან რვამდე ბათომში შემდეგი შემთხვევები არის ჩანიშნული:

ნოემბრის პირველისათვის შავი ჭირით ავათ იყო—13, კვირის განმავლობაში გახთა ავათ—1, მორჩა—2, მოკვდა 1. ავათ არის ჭირით 11. ამ ხნის განმავლობაში ფოთში ჭირით არავინ არ გამხდარა ავათ. ამ რიგად სულ რესპუბლიკაში შავი ჭირით 11 კაცი გამხდარა ავათ. თფილისში არც ერთი შემთხვევა არ ყოფილა ხოლერით ავად გახდომისა.

— ავიაცია. ჩვენ გვთხოვენ გამოვაცხადოთ, რომ იტალიის საავიაციოთ ქარხანამ გამოგზავნა საქართველოში ერთი საუკეთესო იტალიელი მფრინავი ანტონიო ლევანტინო და მექანიკი ძემალინი. მათი ჩამოსვლის მიზანია ქართველ მფრინავებს შე სწავლონ. იტალიის ჰაეროპლანების ხმარება.

— საკოოპერაციო ცხოვრება. ტფილისის კოოპერატივთა კავშირმა წარუდგინა მთავრობას მოხსენება კოოპერატიული სასადილოების შესახებ. დღემდი ასეთი სასადილოების გახსნა ვერ ხერხდებოდა შესაფერ შენობებისა და ინვენტარის უქონლობის გამო. ახლა ამ საკითხზე მოწვეულ იქმნა კოოპერატივთა წარმომადგენლების თათბირი. ამ თათბირმა აირჩია განსაკუთრებული კომისია. რომელსაც დაევალა კოოპერატივთა თათბირის აზრი ამცნოს მთავრობას და მიიღოს სასადილოების გასახსნელად წინასწარი ზომები.

ტრაპიზონის ქრონიკა.

ქიამალის ლაშქარი.

(საკ. კორესპ.)

— ნოემბრის 15 ქიამალის ჯარში პანიკაა. ბერძნების ჯარმა ანატოლიაში ბრუსას წინააღმდეგ ძლიერი იერიში დაიწყო.

——

— ტრაპიზონის მიდამოებში ყოველ დღე ელიან ძლიერ რაზმის გადმოსხმას.

— ქიამალის ჯარის რიცხვი მუდმივად 15—20000—მდე ადის. მაგრამ ქიამალის ჯარი არა ჩვეულებრივად იმატებს, მაშინ როცა სადმე რაიმე გამარჯვება ხვდებათ წილად. უკანასკნელ დროს ყარსის აღების გამო ამბობენ ქიამალის ჯარის რიცხვი 40.000-მდე ავიო.

ბათომის ქრონიკა

— სავაჭრო-სამრეწველო პალატის ბათომის განყოფილება თბილისში აგზავნის ორ თავის წარმომადგენლებს, რომლებიც უნდა დაესწრონ პალატის 14 ნოემბრის სხდომაზე, რომელზედაც სხვათა შორის გაირჩევა საკითხი ბათომის განყოფილების შესახებ.

— ამ დღეებში ბეჭვდითი ორგანოებზე შემოღებულ იქნება წინასწარი სამხედრო ცენზურა.

— საბიუჯეტო სახაზინო ნაწილი ატყობინებს საგანგებო კომისარს, რომ მას გაეხსნა თანახმად შინაგან საქმეთა მინისტრის მოხსენებისა კრედიტი 38 მილ. მან.

— 5 მილ. მან. კრედიტი გაიხსნა განათლების საქმეებისათვის.

— ქალაქის გამგეობამ წინადადება მისცა ქალაქის ინჟინერს გამოიმუშაოს მოხსენება ბათომის ნავთ-სადგურის გაფართოების შესახებ, რის შესახებაც სათანადო შუამდგომლობა იქნება აღძრული მთავრობის წინაშე.

— როგორც ხმები დადის ინგლისელების ოკუპაციის დროს დატუსაღებული ბათომის პროფ. კავშირთა საბჭოს წევრები ამ დღეებში ბათომში დაბრუნდებიან. (ბ. ფ.)

მუცლის სახადი ანუ ტიფი.

რაც ეხლა მე მინდა გიამბოთ ეს მოხდა სოფლად ჩემი მუშაობის დაწყებისას.

ერთხელ შემატყობინეს, რომ ერთ ოჯახში რაღაცა ავადმყოფობა გაჩენილა. მე მაშინვე გავეშურე იქითკენ და აი რა ვნახე! პატარა ოთახში ტახტზე და რადგან ტახტზე ადგილი ყველას არ ჰყოფნიდა, იატაკზედაც ავადმყოფები იწვნენ. დავთვალე და აღმოჩნდა სულ 9 სული, ესე იგი, ყველა ოჯახის წევრი დიდიდან პატარამდე ავად იყო; გამონაკლის წარმოადგენდა მხოლოდ ერთ ქალი; ძალზე დასუსტებული, ჩაკეცილიყო კარებთან და კართოფილს ხარშავდა, ყველასათვის სადილს ამზადებდა. გამოირკვა, რომ ყველანი ავად იყვნენ მუცლის სახადით, ქალი კიდე ეს იყო ამდგარიყო ლოგინიდან.

საყურადღებოა ეს საშინელი სურათი!

იბადებოდა სხვა და სხვა კითხვა:

რათ მივიდა საქმე იქამდე, რომ ავადმყოფობა ყველას მოედო, ნუ თუ არ შეიძლებოდა რაიმე წინააღმდეგ ზომების მიღება და ზოგიერთების გადარჩენა მაინც.

აღმოჩნდა რომ ეს უბედურება ორი თვეა რაც ესტუმრა ამ ოჯახს, ყველაზე ადრე ავად გამხდარიყო ის ქალი, რომელიც [illegible] ჯერ ფეხზე ვერც კი იდგა, მაგრამ იძულებული იყო ეხოუბა იმ საცოდავებისთვის, რომლებიც იწვნენ იქ ოთახში ზოგი უკანასკნელ წუთებში; სხვა მომვლელი არავინ იყო; მეზობელი ან ნათესავი არ ეკარებოდა სახადიან სახლს, ავადმყოფებს შიმშილისა გამო სიკვდილი ემუქრებოდა.

მაშ რა არის სახადი, ეს საშინელი სნეულება, რომელიც ნამდვილ ღვთის რისხვად ევლინება ჩვენ სოფელს, აქცევს და ანადგურებს ოჯახს, აუარებელ ზარალსა აყენებს და სამუდამოდ თუ არა დიდი ხნის განმავლობაში დაღით ემჩნევა მის ცხოვრებაზე; ნუ თუ არ შეიძლება მის შემუსვრა!

რასაკვირველია შეიძლება, მაგრამ თუ დღეს ჩვენი სოფელი მის კლანჭებში იმყოფება, მხოლოდ უვიცობით, მხოლოდ დაუდევრობით და შეუგნებლობით; აი სად არის მტერი ჩვენი რომ შევძლოთ და ეს მტერიც მოვიშოროთ, მოვიშორებთ სახადსაც და მის საშინელებასაც. და იქ, სადაც ქვეყანა განათლებულია სახადიც გაჰქრა, იქ ვერსად ნახავ იმ გულსაკლავ სურათს, რომელიც ჩვენ სოფელში ხშირი და ჩვეულებრივი მოვლენაა; იქ შეიძლება შემთხვევით ავად გახდეს რომელიმე წევრი ოჯახისა, მაგრამ ყოვლად შეუძლებელია იმ სახლში სხვების ავად გახდომა, მხოლოდ იმიტომ რომ იციან რა არის სახადი, რა მიზეზი იწვევს მას როგორ უნდა მოიქცნენ, რომ სახადი მათაც არ შეეყაროს.

ჩვენ კი ეს ყველაფერი არ ვიცით, და არც გვინდა, რომ ვიცოდეთ.

რა არის სახადი?

სახადი გადამდები ავათმყოფობაა მიზეზი მისი ეგრედ წოდებული სახადის ბაცილები გახლავს, რომლებიც ნაწლევებში ბუდობენ და იწვევენ მათ ანთებას; ამის გამო ავადმყოფს დიდი სიცხე უჩნდება; სიცხე ჯერ ცოტა აქვს, შემდეგ მეორე მესამე კვირას ძალიან ძლიერდება და მერე თანდათანობით ნელდება, ასე რომ ერთი თვის შემდეგ უკვე გამონელებული უნდა იყვეს. ამ ხნის განმავლობაში, ავადმყოფი ძალიან სუსტდება, ხშირად უგონოთაც არის და ჰბოდავს; თუ ავადმყოფმა მშვიდობიანად აიტანა სიცხე და მორჩენის გზას დაადგა, მაინც შემდეგში რამდენიმე თვეს სისუსტესა გრძნობს და მუშაობის უნარს მოკლებულია.

ჩვენ სოფელში სახადი ულეველია, ზაფხულში კლებულობს, ზამთარში მძვინვარებს, რადგან ზამთარში ხალხი შეჯგუფულია და სივიწროვეშია. სახადის ბაცილებს მხოლოდ პირიდან შეუძლიანთ საჭმელს ან სასმელს ჩაჰყვნენ.

მაშასადამე როგორც ხოლერის თავიდან ასაცდენად საჭიროა სიფრთხილე და საჭმელ-სასმელის შერჩევა.

მეცნიერებით გამორკვეულია და გამოცდილებაც გვიჩვენებს რომ უმთავრესი მიზეზი სახადის გაჩენისა წყალი არის, რომ როცა უვარგის წყალს ვსვამთ, რუის წყალსა მდინარისა ან ჭისა იმ წყლით შეიძლება ჩავყლაპოთ სახადის ბაცილებიც;

ბაცილები ნაწლევებში მრავლდებიან და იწვევენ ავადმყოფობას; სახადით ავადმყოფი თვითონა ხდება მიზეზად სხვის ავადმყოფობისა და აი როგორ: ჩვენ უკვე ვთქვით რომ ავადმყოფი ფაღარათად არის, მის განავალში მრავლად არის ბაცილები მაშასადამე რასაც განავალი მოხვდება ყველა მოწამლული იქნება და ძალიან საშიშო დანარჩენი ოჯახის წევრებისთვის ეს არ იციან სოფელში და სწორეთ ამით აიხსნება ის გარემოება, რომ თუ ოჯახში როგორმე ავად გახდა ერთი მას უეჭველად მოსდევს მეორე, მესამე და სანამ ყველანი ავად არ გახდებიან სახადიც არ მოისპობა.

საუბედუროდ უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენი გლეხის ოჯახში ეგრე რიგად სისუფთავეს არ მისდევენ; სისუფთავის დაცვა კი აუცილებელია იქ სადაც სახადი არის; თამამად შეიძლება ითქვას, რომ იქ სადაც ეს პირობა აღსრულებულია შეუძლებელია სახადის გავრცელება, იქ სახადი უნიადაგოა და უნდა მოისპოს და ისპობა კიდეც, წინააღმდეგ შემთხვევაში კი აი რა ხდება: სახადიანი ავადმყოფის განავალი უეჭველად მოხვდება ან ჭურჭელს ან ქვეშაგებს და საცვლებს ავადმყოფისას. სხვები კიდე უეჭველად ხელს ახლებენ ყველა ამას, ამ წაბილწულ ჭურჭელს აიღებენ ხელში ან ლოგინს გაუსწორებენ ან ავადმყოფს გადაატრიალებენ და ხელებსაც [illegible] გაისვრიან, მერე ამ ხელებით პურს შეჭამენ და ბაცილებს ჩააყოლებენ: ავადმყოფი მზათ არის; როცა ორი ავადმყოფია სახლში, საფრთხე ძლიერდება და დანარჩენი წევრები ოჯახისა უფრო ადვილად ხდებიან ავად და ამ გზით მთელი ოჯახის კეთილდღეობა მიექანება უფსკრულისაკენ; ამ სურათს კი, როცა გნებავთ, მუდამ ნახავთ ჩვენს სოფელში.

როგორ უნდა ეშველოს ამ უბედურობას? მაგრამ ამაზე შემდეგ ნომერში ვილაპარაკოთ.

ექ. ნ. ია—შვილი.

ხაჭიჭორა
(Артишокъ.)

არტიშოკი, ჩუბინაშვილის ლექსიკონში ნათარგმნია ხაჭიჭორათ და ანგანირით და მეც ვიხმარ ამ წერილში ხაჭიჭორად. ხაჭიჭორა ერთ საუკეთესო ბოსტნის მცენარეთ ითვლება დასავლეთ ევროპაში და უპირველესი ადგილი უჭირავს ბოსტნეულ კულტურაში. ალჟირში ხაჭიჭორას ჩვეულებრივ შეჭამადათ ხმარობენ არაბები და სწორეთ ალჟირიდან ეზიდებიან ევროპაში და უმთავრესად კი პარიზში. რუსეთში ეს მცენარე ნაკლებად არის გავრცელებული და ჩვენში გავრცელებულია ქუთაისის ახლო მახლო სოფლებში, მაგალითებრ: მესხეთში, ფარცხანაყანევში და მუხიანში, საიდანაც ეზიდებიან თბილისში გასაყიდათ. ბათომის მიდამოებში შევხვდებოდით უმთავრესად სპარსელების ბოსტნებში. ჩემდა, სამწუხაროდ არ ვიცი ეს მცენარე არის თუ არა გავრცელებული ქართლ-კახეთში და თუ ვინმე არის ამ მცენარით დაინტერესებული, იმედია თავის გამოცდილებას და დაკვირვებას საზ გადოებას გაუზიარებს.

ხაჭიჭორა ორი ჯიშისაა; ხაჭიჭორა მწვანე და იის ფერი;

ხაჭიჭორა ვერ იტანს დიდ ყინვებს რის მიზეზით თან და თან ჭკნება და შემდეგ კი სრულიადაც ხმება. ჩვენში ქვემო იმერეთის ყინვები ვერაფერ ზიანს ვერ აყენებს ამ მცენარეს.

მოხდება შემთხვევა მცენარეს ყინვების დროს მთლად ძირამდის დაუჭკნება ფოთოლი, მაგრამ გაზაფხულზე ისევ მშვენივრათ გამოაქვს ღეროები და ყვავდება.

მიწა ხაჭიჭორას უყვარს მსუქანი, თიხნარი და სადაც მას წყალი არ ჩაუდგება.

ხაჭიჭორას გამრავლება შეიძლება თესლით და მისივე ძირში ამოყრილ ნერგებით. გაზაფხულზე, დარგვიდან მეორე წელს მცენარე გამოიტანს რამოდენიმე ქაცვიან თავებს—კოკრების და ამათში ამოარჩევთ საუკეთესო თავების და დაამწიფებთ სათესლეთ. სათეს თავებს შეეტყობა სიმწიფე მაშინ, როცა ყვავილი გაშავდება და თვითონ თავი—ნაყოფი გახმება თავის ღეროთი და ჩალის ფერს მიიღებს. ამ დროს ეს თავები უნდა დაიჭრას და რამოდენიმე დღის შემდეგ უნდა გაირჩეს და გამოღოს თესლი, თესვა შეიძლება თებერვალში, მარტში და აპრილში, ამ თვეშიც მოხდება, მიჩნეულ დასარგავ ადგილში მათი დარგვა.

მეორე დრო დათესვის და გადარგვის არის მარიამობისთვის და ენკენისთვე. თუმცა გადარგვა შეიძლება ღვინობისთვეში და გიორგობისთვეშიც.

მიწა, სადაც უნდა დარგათ ხაჭიჭორა უნდა იქმნას ან დაბარული ან ღრმათ დახნულ-დაფშვნილი, ერთის სიტყვით კარგათ ფხვნილი და საბოსტნე ადგილივით მომზადებული.

უნდა დაირგოს მწკრივათ არშინ ნახევარზე ერთ მეორეზედ მოშორებით

ნერგებით გამრავლება შეიძლება შემდეგის წესით. როცა მცენარე დაასრულებს გამოტანას და თავები დაეჭრება აგვისტოში მცენარეს ძირში, მიწის სწორათ მცენარე ძირში დაიჭრება. ორი კვირის შემდეგ შეატყობთ, რომ ხაჭიჭორამ ამოიდო რამოდენიმე ნაყარი, ღეროები. ამ ღეროებს ირგვლივ უნდა მიეყაროს მიწა და ენკენისთვიდან გიორგობისთვის დამლევამდე ახალ ამოყრილ ღეროებს მოაცილებთ დედა ღეროს და გადარგავთ, როგორც ზევით იყო მოხსენებული, მწკვრივათ, რიგზე.

გაზაფხულზე დარგულები უნდა გაითოხნოს და რომ მათ ზრდას უცხო, მავნებელ მცენარეებმი ხელი არ შეუშალონ.

გაზაფხულზე ხაჭიჭორა გამოიტანოს პირველ მოსხმაზე 12=15 თავს, მეორე წელს 20—24, მესამე წელს უკლებს გამოიტანას. მეოთხე კიდევ ნაკლები გამოსხმა ექნება და კიდევაც ამთავრებს თავის სიცოცხლეს-

ვრთის სიტყვით ეს მცენარე სძლებს ოთხს წელიწადს.

გაზაფხულზე, როცა კოკრები ან თავები დასხვილდებიან საყვავილოთ გაიშლებოდნენ უნდა დასჭრათ საბაღოსნო მარკრატლით; ან დანით. უნდა ჩააწყოთ რიგზე კალათებში და გოდრებში და ამ ნაირათ გაიგზავნება გასასყიდათ სადაც ისურვებს პატრონი. ხაჭიჭორას ნაყოფი რამდენიმეჯერ დაეჭრება ზაფხულის განმავლობაში ეხლანდელი ხაჭიჭორის ნაყოფის ფასი მე არ ვიცი მხოლოდ ძველ დროში, ადგილობრივ იყიდე ოდა თითეული თავი 10—20 კ. ქალაქ ადგილებში, მაგალითებრ, ბათომში; ქუთაისში და თბილისში, სასტუმროებში და რესტორანებში კერძი ე. ი. ორი თავი ფასობდა 1 მან.—1 მ. 20 კ.

საჭმელათ საუცხოვოა. ხარშვენ მარილ წყალში, შეზავებულ ერბოიან სუხარში—საწებელში მოუბენ თავებზე მოცილებულ ნაწილებად და ისე მიირთმევენ თუ ერბო და კარაქი არ იშოვება, მაშინ მარილ წყალში მოხარშულიც საუცხოვოა.

კოკინია დგებუაძე.

ნარინჯოვანი ხეხილი და მისი გავრცელება ჩვენში.

როგორც მეცნიერი დეკანდელი მოგვითხრობა ნარინჯის, ფორთოხლის და მანდარინის სამშობლო არის სამხრეთ ჩინეთი, სახელდობრ კოხინხინის პროვინცია, ლიმონისა კი ინდოეთი. ევროპაში ფორთოხალი გადმოიტანეს 250 წლის წინად ე. ი. მე-7 საუკ. ხოლო საქართველოში როდის იქმნა გადმოტანილი, ისტორია არაფერს მოგვითხრობს, მხოლოდ ეს კი აშკარა, რომ საქართველოს რუსეთთან შეერთებამდის საქართველოში უკვე იყო ფორთოხლის ბაღები. როცა შეერთების შემდეგ რუსები ჩამოვიდნენ საქართველოში მათ უკვე დახვდათ ფოთში ფორთოხლის ბაღი, რომელიც მოუვლელობის გამო დაიღუპა.

1848 წ. კავკასიის ნამესტნიკმა ვორონცოვმა გამოიწერა ტრაპეზუნდიდან 200 ძირი ფორთოხალი და რამდენიმე ლიმონი, რომელიც დარგო ფოთის გაშლილს მინდვრებზე. ამ ადგილას ხშირად ქარისა და სიცივეების გამო, ხეხილი რიგიანად ვერ იზრდებოდა და ამიტომ გადაიტანეს ფოთის ციხეში. ხეხილმა მშვენივრად იხარა ხოლო ბოლოს მაინც სუსხიანმა და სასტიკმა ზამთარმა მოუღო ბოლო. 1894 წ. 1878, როცა რუსეთმა დაიპყრო ბათომის ოლქი უკვე იყო ყველა ნაირი ნარინჯოვანი ხეხილი: ნარინჯი, ფორთოხალი, მანდარინი, ლიმონი და სხვა. ამ ხეხილს შეხვდებოდით იმ დროს ქობულეთიდან დაწყებული ლიმანამდის. მთელს ოლქში ნარინჯოვანი ხეხილის მოყვანას კომერციული ხასიათი ჰქონდა. მდინ. ჭოროხიდან დაწყებული ეხლანდელ ჩვენს საზღვრებამდის ე. ი. გონიოში, მაკრია ი, სარპში ლიმანში. სავილში ყოველ წლით აგროვებდნენ ერთ მილიონ (1.000.000) ნაყოფს და გაჰქონდათ რუსეთში. როგორც ეტყობოდა მაშინდელ ბაღებს, ეს კულტურა დიდი ხნის გავრცელებული იყო ზემო აღნიშნულ რაიონებში. ყველაზედ ხნიერი ხე იმ დროს 60 წლისა იყო, ისიც ძველი ძირიდან ამონაყარი.

აქედან ჩვენ შეგვიძლიან გამოვიყვანოთ ის დასკვნა, რომ პერიოდულად ყოველ 100 წელიწადში ერთხელ მოდიოდა დიდი სუსხიანი ზამთარი, რომელსაც ვერ უძლებდა ნაზი ხეხილი და ხმებოდა, ხოლო თბილი წლების დადგომისთანავე ძირიდან ისევ იყრიდა ახალ ყლორტებს. რუსების ჩამოსვლის შემდეგ ბათომის ოლქის მცხოვრებთა უმეტესი ნაწილი გადასახლდა სათათრეთში და თან წაიღეს პატარ-პატარა ხეები გასაშენებლად, ხოლო დარჩენილი დიდი ხეები მოუვლელობისა გამო დაიღუპა. გადასახლების შემდეგ დარჩნენ მხოლოდ ბობოკვათის მცხოვრებნი, რომლებიც უმეტესად ლიმონს ამრავლებდნენ. ამ რიგად თითქმის მთელ ოლქში ამ ძვირფასი ხეხილის გამრავლება შეჩერდა. მხოლოდ 80 წ. ე. ი. 1890 წ. ახლად ჩამოსახლებული რუსები დაინტერესდნენ ძველი ადგილობრივი ნარინჯოვანი ხეხილის კულტურით და დაიწყეს მათი შესწავლა. ასეთი პირნი იყვნენ ალფონსი და ხრისტოფოვიჩი. ამათ გამოიწერეს ნარინჯოვანი ხეხილი იტალიიდან, ალჟირიდან და სათათრეთიდან, მაგრამ გამოირკვა, რომ ამ ქვეყნებიდან მოტანილი ხეხილი ვერ იტანდა ბათომის ოლქის ჰავას და კომერციული მიზნით არ იყო ხელსაყრელი. ამ უკანასკნელმა მოვლენამ მისცა საშუალება გამოენახათ სხვა გზა: საჭირო შეიქმნა ყოველ მხრივი შესწავლა ამ კულტურისა. ამასთანავე მათთვის აშკარა შეიქმნა, რომ ეს ერთად ერთი კულტურაა შავი ზღვის პირისთვის და მხოლოდ ამას შეუძლიან დააყენოს მეურნეობა უმაღლეს წერტილზედ და ხალხს მისცეს ისეთი შემოსავლის წყარო, რომლის მიცემაც არავითარ უმაღლეს კულტურას არ შეუძლიან. თუმცა გრძნობდნენ, რომ ეს კულტუოა უძვირფასესი და შემოსავლიანი იყო, მაგრამ მათ უცოდინარობა და ლიტერატურის უქონლობა ამ კულტურის შესახებ ძალიან ხელს უშლიდა, რამაც აიძულა იგინი მიექციათ ჯეროვანი ყურადღება ამ გარემოებისათვის. სწორედ ამ დროს ჩვენში დაარსდა საუფლისწულო მამულების გამგეობა ჩაქვში.

ამ გამგეობამ მიაქცია ყურადღება ნარინჯოვან ხეხილის გამრავლებას შავი ზღვის ნაპირას, რადგანაც ამ ადგილების ჰავა წააგავს იაპონიის ჰავას. გადაწყვეტილი იქმნა რუსთა სპეციალისტების გაგზავნა იაპონიაში პროფესორ კრასნოვის მეთაურობით ჩაის და ნარინჯოვანი ხეხილის კულტურის რიგიანად შესასწავლად.

ამ ექსპედიციამ შემოიარა მთელი იაპონია, შეისწავლა მათი კულტურა. ექსპედიცია შეხვდა აქ ერთი ჯიშის ფორთოხლის ,,მანდარინა უნშუ''-ს რომელიც სხვა ნარინჯოვან ხეხილებთან შედარებით უფრო იტანს სიცივეს და კავკასიის ჰავის ატანა შეუძლიან. უნშუ საუკეთესოა იმით რომ უკურკოა.

ამ ექსპედიციამ წამოიღო თან საცდელად რამოდენიმე სხვა და სხვა ჯიშის ნარინჯოვანი ხეხილი და მათ შორის უნშუ; როგორც დაამტკიცა 1910 წ. დიდმა ზამთარმა უნშუ საუკეთესო ჯიშის ნარინჯოვანთაგანია ჩვენი ჰავისათვის. ვინაიდან ამ წლის სუსხიანმა ზამთარმა ვერავითარი ვნება ვერ მიაყენა მას. რამდენიმე ძირი ამ მცენარისა წაიღეს ადგილობრივმა. მცხოვებ.ამათგან დღესაც 2 ხე ხარობს ქობულეთის თავში ეს ხეები დარგულია დაბალ ადგილას კოსლის ბოლოს უკან, საიდანაც ბლომად ეყრება პატივი. 15 წლის ხემ მოისხა 3000-მდე მშვენიერი ნაყოფი და ზრდაც ხეს საუკეთესო აქვს. დაკვირვებამ დაარწმუნა ადგილობრივი მცხოვრებნი, რომ მანდარინის გამრავლება დიდ ეკონომიურ წარმატებას მისცემს მათ. თუმცა ძველი ჯიშის ხე სულ გადაშენდა, მაგრამ ახალმა დანაკლისი სრულიათ აანაზღაურა.

1901 წ. მთელ ბათომის ოლქში ითვლებოდა 100 ძირი მანდარინი. 1912 წ. 101500 ძირი.

რაც შეეხება გურია სამეგრელოს და სოხუმის ოლქს მათი სტატისტიკა არა გვაქვს, მაგრამ უნდა ვიფიქროთ, რომ დღეს მათი რიცხვი გაორკეცებულია და ვინაიდან ხალხი ხარბათ დაეწაფა ამ კულტურას, იმედია შემდეგში უფრო განვითარდება ეს კულტურა საქართველოში.

მ. ქარც ვაძე

(ჟურ. ,,ერობა'' № 10)

პრაკტიკული დარიგება საქონლისა და ცხენების მოშენების შესახებ.

როგორ უნდა მოუაროთ საქონელს? ამის შესახებ გერმანელი მეურნეები, რომლებიც განთქმულნი არიან საქონლის მოვლის ცოდნით, ურჩევენ შემდეგ დარიგებით იხელმძღვანელონ: მხედველობაში იქონიე, რომ საქონლის ბინა უნდა იყოს სუფთა და თბილი ჰაერის საზომი (სითბო) უნდა აჩვენებდეს 12 14 ნახ. გრ. მისთვის რომ პირველი და მეორე საჭიროა პირუტყვების ჯანმრთელობისთვის და სასარგებლოა მეურნისთვის სიცივეში (ცივ სადგომში) პირუტყვი მეტს სჭამს, ზედმეტ თბილ სადგომში კი სუსტდება და მჭლევდება. მხედველობაში იქონიე, რომ ბოსელში არ ჰქროდეს ქარი ორივე მხრივ, თორემ პირუტყვი გაცივდება, ავად გახდება, ასე მაგალითათ, ძროხა შესაძლებელია გახდეს ავათ ძუძუს ანთებით. ამასთანავე საჭიროა ბოსელში კარგიზლვეები იყოს მუდამ სუფთავდებოდეს პირუტყვის ბინა იყვეს თავისუფალი, სრული ფართე, რომ პირუტყვს შეეძლოს თავისუფლათ დაწოლა—მოსვენება. გარდა ამისა, ბოსელი უნდა იყოს ნათელი, მაგრამ ისე რომ სინათლე არ ეცემოდეს პირდაპირ თვალში.

2. მხედველობაში იქონიე, რომ პირუტყვზე არ იყვეს სიბინძურე ჩქარ-ჩქარა დაჰყარო პირუტყვის სადგომ—საწოლზე ისლ-თივა, ნახერხი დაგაწმინდოთ თორემ სიბინძურისგან შესაძლებელია სხვა და სხვაკანის ავადმყოფობის გაჩენი.

3. გამოიტანე პატივი, გაასუფთავე ზღვეები, მიეცი საჭმელი და სააერთოთ ყველა საქმე პირუტყვის სადგომში გააკეთე წყნარად და დანიშნულ დროს. ყოველივე ხმაურობა აფეთებს პირუტყვს დაფეთებულ პირუტყვისათვის საკვები იკარგება ტყუილათ.

4 მოათავსე ავადმყოფი პირუტყვი ცალკე, ჯანსაღ პირუტყვს არ მიაკარო.

5 შეუცვალე, თუ შესაძლებელია ერთი საკვები მეორეთი და მიეცი პირუტყვს ცოტ ცოტა, მაგრამ მალ-მალე. არას დროს არ მისცე ერთად ბევრი საკვები. მხოლოთ ამ პირობებში მყოფი პირუტყვი იკვებება და არ ფანტავს და აფუჭებს ტყუილად უსარგებლოთ საკვებს. საზოგადოდ ეცადე საკვების გამოცვლას, ეს მეტად სასარგებლოა, მაგრამ ერთი საკვების შეცვლა მეორეთი უნდა ჰხდებოდეს თანდათანობით საკვების მიცემას როდესაც პირუტყვი მიეჩვია მოუკველი, ხოლო რომლითიც ჰფიქრობ შეუცვალო, მას მოუმატე.

6 დრო გამოშვებით აძლიე მარილი, მაგრამ ზომას ნუ გადააცილებ.

7 დასაწყრემლათ იხმარე კარგი სუფთა წყალი, ზამთარში კი ზომიერი და არა ძალაზე ცივი.

8 წყლის დროს დაიცავი სისუფთავე სარძევე შეინახე სუფთა ალაგზე სანამ დაიწყებდე წველას, ჩამოჰბანე ძუძუ და შენც თვითონ ხელი დიიბანე.

ცხენის ახსარება.

ასეთივე დარიგება, მოვლა, შენახვა საჭიროა ცხენის შესახებ. თუ ცხენს შესძლებოდა ლაპარაკი ის შემდეგს გვეტყოდა:

,,როდესაც ძლიერ ცივა, და ყინვაა, ნუ მაკრავთ მე რკინის საბმურზე, ნუ დამტოვებთ მიკრულას ღამე ისეთს ალაგას, რომლის ნიადაგი ჩემთვის მავნებელია, თუ დავწექი, მოკლებული ვარ თავისუფლათ ავირჩიო ჩემთვის სუფთა, თბილი და რბილი ღამის გასათევი ალაგი. ძალას ნუ დამატანთ ზედმეტი მარილი ვლოკო, თქვენზე უკეთ ვიცი რამდენია ჩემთვის საჭირო. ნუ ჰფიქრებთ თუ მე შიშით და მათრახის ტყაშუნზე მივდივარ, ეს არ ნიშნავს, რომ მე არ დავიღალე. ნუ გგონიათ, რა კი მე ცხენი ვარ, ვალდებული ვიყო ვიკვებო ყოველგვარი ჯიშის ბალახით ნუ მცემთ მათრახით, თუ მე გზაზე რამესი შემეშინდა, რადგან შემდეგისთვის შემიძლია ეს მოვიგონო და გიზღოთ უპედურებით. ნუ დამატანთ ძალას გაგექცე იორღით მთაში, რადგან ვეზიდები თქვენს თავს, თქვენს ეტლს და ჩემს თავსაც. ნუ დამტოვებთ ბნელს სადგომში, რადგან, როდესაც გარეთ გამოვალ ვგრძნობ თვალების ტკივილს, განსაკუთრებით ზამთარში, როდესაც გარეთ თოვლია. ნუ მასმევთ ძლიერ ცივ წყალს, ნუ ამომდებთ გაყინულ ლაგამს, რადგან კანი ჩემი ენისა საჭიროა ჩემთვის, თქვენ შეგიძლიათ რამდენიმე წუთში გაათბოთ ლაგამი ჩემს ტანზე. ნუ დამატანთ ძალას უკან დამახევინოთ დახუჭული თვალით, რადგან ეს მაშინებს. ნუ დამატანთ ძალას მთიდან ძირს იორღით დავეშვე. ნუ დასტოვებთ უყურადღებოთ ჩემს მოსართავებს, რომ შემდეგში თქვენ ტყუილა უბრალოთ არ დაჰკარგოთ დრო ჩემს აქიმობაზედ. არ მიჰმაროთ ბოროტ ადამიანს, რომელზედაც მე უფრო გულკეთილი ვარ.''

აი რას გეტყოდა ცხენი, რომ შენსავით ლაპარაკი შეეძლოს.

(გაგრძელება იქნება)

ი. ქუთათელაძე.

ჩვენი კორესპონდენტები

ს. ყვარელი.

(თელავის მაზრა.)

ლეკეთის მომიჯნე მთებს ძირს სძევს ს. ყვარელი, სილამაზით ნაყოფიერებითა და სიმდიდრით შეუდარებელი, იგი ძვირფასია ქართველი ერისათვის, სამშობლო და როგორც აკვანი დიდი ილია ჭავჭავაძის. შუა სოფელში, პატარა მდინარის პირას პატარა ძველებურ კოშკში იშვა დიდებული ადამიანი, აქ მთებს შუა, შეუდარებელ ბუნებაზედ აღიზარდა ერის მესაიდუმლე, აქედან მოესმა ჩაგრულ სამშობლოს საყვირის ხმა., აი რათ არის ყვარელი საყვარელი, იგი ერის წმინდა ადგილია იგი ეროვნული სამლოცველოა,, ილია არის მიზეზი ამ მთებში მივარდნილ სოფლის კულტურულად და ეკონომიურად განვითარებისა, კოშკში, სადაც პატარა ილია დაბადებულა და გაზრდილა, დღეს მისი სახელობის სამკითხველოა. ამ სოფელში თითქმის ყოველივე კულტურულ და ეკონომიური სასოფლო საზოგადოებებია. ადგილობრივ მცხოვრებთა გადმოცემით სოფელი, ეკონომიურად ჯადოსნურ სისწრაფით იზრდებოდა, გასაკვირიც არ არის, ვინაიდან ნიადაგი მეტად ნოყიერია და აქაური გლეხიც მეტად გამრჯელია, დღეს კი სოფლის ეკონომიური ზრდა ერთბაშად შემდგარა, ამის მთავარი მიზეზი, საქართველოს საერთო სენი, სოციალისტური ექსპერიმონტებია, აქაც ადგილი აქვს ჩამორთმევას, კონფისკაციას და იძულებით შესყიდვას, აქაურ ერობის თავმჯდომარე ერაძის სამინისტროს რწმუნებული ყოფილა, ის აგენტების საშუალებით აწარმოებს პურისა და სხვა სურსათის შესყიდვას, ყიდულობენ ძლიერ დაბალ ფასებში, ასე რომ გლეხი ხანდახან სრულიად უარს აცხადებს პურის საფასურის აღებაზედ მიილენ გლეხთან დაათვალიერებენ მოწეულ ხორბალსა და სიმინდს თვალდათვალ შეამოწმებენ. რამდენი ეყოფა გლეხის ოჯახს მომავალ მოსავლამდის, დანარჩენს კი იძულებით ჩამოართმევენ საბრალო გლეხს, რა ჰქნას გლეხმა, რომ მომავალ წელს მოსავალი დაეწვას? ვის მიადგეს კარზედ, ერობის თავმჯდომარის და ერაძის სამინისტროს რწმუნებულს? შესძლებენ ეს ვაჟბატონები გამოკვებონ ეს სოფლები, იმ ტალახითაც რომლითაც დღეს ქალაქს კვებავენ? საეჭოა. ასეთმა მტაცებლობამ ჩაჰკლა გლეხში, მისწრაფება ზედმეტის შექმნისა., „შეჩერდა ჩემი ოჯახის წინსვლა“,
ბრაზმოეული შემოგვჩივლა ერთმა გლ
მა, ,,ვმუშაობ იმდენს, რამდენიც ჩ
ოჯახისათვის საჭიროა, მეტი კი რ
ვიმუშაო, სულ ერთია ძალად წამარ
მევენ, და ზარმაცებს დაურიგებენ
იმათ თუ სძინავთ მე კი მაწყენს ძი
და მოსვენებამო" აი როგორ უყურ
გლეხი ჩვენი სოციალისტების პოლი
კას. ზედმეტს არ შევქმნი რადგან ვი
რომ ძალად წამართმევენო. აი მიზე
ამ სოფლის ეკონომიურად წინსვლ
შეჩერებისა.

სოფლელები უკმაყოფილონი არი
იმათაც რომ მათ მთავრობა ნებას
აძლევს თავიანთი ნაშრომი პური
ღვინო გაიტანონ თავისუფლად ბაზა
ზედ და გაჰყიდონ, ერთი სოფლიდ
მეორეში ვერ გადაუტანიათ ხორბალ
უთუოდ გზაზე მილიციელი უნდა გად
ღობოს და ჩამოართვას; ამ სოფლის
ნებს სხვა სოფლებიდან მოსული მ
რენი ხნავდნენ და სთესდნენ, გასამ
ჯელოში სულადს, (ხორბალს) ღებულ
ბდნენ, მაგრამ დღეს კი როცა ერო
ერაძის სამინისტროს განკარგულებ
თანახმად ნებას არ აძლევს მათ ამ ს
ფლიდან თავიანთი ნაშრომის ქირა გ
ტანონ, ისინი აღარ მოდიან დასახნ
დასათესად, და ამგვარად რჩება სო
ლის მინდვრები დაუთესელი, ეს კი დი
უბედურებას მოუტანს სოფელს, ალბ
მომავალ წელს ისინიც ერაძის სამინ
ტროს შემყურე იქნებიან, ერაძის შ
ყურე კი ტალახის შემყურეა.

როზე უნდა შველა, რომ ამ სოც
ლისტების წყალობით ასეთი მდიდ
სოფელიც არ გაღატაკდეს. ელ

რედაქტორი ნ. კაიშაური.

მატარებელთა მიმოსვლა

ფოსტის მატარებელი № 3.
თბილისიდან ბათომში—დილის 10
53. წ.
მატარებ. № 3. № 7.
თბილისიდან ფოთში საღამ. 7 ს. 14
მატარებ. № 21.
თბილისიდან ბათომში, საღ. გად. 10
37
მატარებ. № 19.
თბილისიდან ხაშურში დილის 3 ს.
20 წ
მატარებ. № 140.
თბილისიდან სალოლში დილის 9
მატარებ. № 390.
თბილისიდან სანაინში დილის 7
45 წ.
მატარ. № 4.
თბილისიდან კახეთში დილის 8 ს.
30 წ.

თბილისში მოდის.

მატარებ. № 4.
ბათომიდან თბილისისკენ გამოდი
საღ. 10 ს. 27
თბილისში მოდის საღ. 6 ს. 46 წ.
მატარებელი № 7.
ფოთიდან თბილისისკენ გამოდის ღა-
მის 12 ს. 2
თბილისში მოდის დღის 2 ს. 13
მატარებელი № 22.
ბათომიდან თბილისისკენ გადის ღა-
მის 12 ს. 58
მატარებელი № 19.
ხაშურიდან თბილისისკენ მოდის ღა-
მის 2 ს. 16
თბილისში მოდის დილის 8 ს. 2
მატარებ. № 141.
სალოღლიდან თბილისისკენ გად
დილის 9 ს 10
თბილისში მოდის საღამ. 5 ს. 36
მატარებ. № 416.
სანაინიდან თბილისისკენ გადის დი-
ლის 8ს.
თბილისში მოდის დღის 4 ს. 53
მატარებ. № 3.
კახეთიდან თბილისში გადის დ
4 ს. 2

ყოფილი 1 კავკასიის კორპუსის სმხედრო

ვეითალი-ექიმი

ი. გ. ქუთათელაძე

იღებს შინაგან, კანით (ქეცით) ავადმყოფ ოთხფეხ პირუტყვებს და ფრინ ლებს, ცხენის ქოთაოს (საპს) ვიკვლევ მალეინის შეშხაპუნებით. ჭიით ცხ სასულე—მილის ავადმყოფობას ვექიმობ ,,ნე მანის და ვესსელის'' მეთოდებ ვიძლევი დარიგებას ,,ზოო ტეხნიაზე'' (საქონლის მოვლა მოშენება). დილ
9—10 საათ. და დღის 2—4 საათ.

14—1. ბელინსკის ქუჩა, № 39, ბინა 2.